გარემოსდაცვითი საკითხები პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში

საპარლამენტო არჩევნები 2012

მწვანე ალტერნატივა

HEINRICH BÖLL FOUNDATION
THE GREEN POLITICAL FOUNDATION

პუბლიკაცია გამოიცა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „პოლიტიკური დებატები მდგრად განვითარებაზე - არჩევნები 2012“ ფარგლებში.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს შეხედულებათა ამსახველად.

მწვანე ალტერნატივა, © 2012

მწვანე ალტერნატივა

HEINRICH BÖLL FOUNDATION
THE GREEN POLITICAL FOUNDATION

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

1992 წელს გაეროს განვითარებისა და გარემოს დაცვის კონფერენციამ ხაზი გაუსვა მთავრობების, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების პასუხისმგებლობას უზრუნველყოს განვითარება და ეკონომიკური ზრდა გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე. ამასთან, სწორედ ეროვნულ მთავრობებს ეკისრებათ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი რათა წარმართონ პროცესები ამ მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის საკითხები უნდა მნიშვნელოვან როლს იკავებდნენ პოლიტიკურ პარტიების პლატფორმებსა, პოლიტიკურ დებატებსა და ქმედებებში.

წინამდებარე კვლევის მიზანია შევაფასოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების პოლიტიკური პლატფორმებში და დღის წესრიგში გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრირება.

ჩვენი მიზანი იყო კვლევაზე დაყრდნობით შეგვეფასებინა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ხედვა, ამბიციები, აღებული ვალდებულებები და მათი განხორციელების გზები. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ, შევეცადეთ შეგვედგინა არჩევნებში მონაწილე საპარლამენტო პარტიების ე.წ. პროფილები გარემოსდაცვისა და მდგრადი განვითარების კუთხით. პროფილების შედგენისას ვითვალისწინებდით თუ რამდენად პასუხობდა პოლიტიკური პარტიის მიერ ჩამოყალიბებული ხედვა და ვალდებულებები როგორც რიოს დეკლარაციის პრინციპებს, ისე საქართველოს ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგს (ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა) გარემოსდაცვისა და მდგრადი განვითარების კუთხით; რამდენად ლოგიკურია მდგრადი განვითარების საკითხების ბმა პოლიტიკური პარტიის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან და რამდენად ხედავს პარტია გარემოს დაცვის როლს ეკონომიკის განვითარებაში.

მეთოდოლოგიურად, შეფასება განხორციელდა წამყვანი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმების, (განთავსებულია ვებ-გვერდზე www.ivote.ge), აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ინტერვიუებზე და /ან სხვა წყაროებზე (ვებ-გვერდები, დებატები და ა.შ) დაყრდნობით. აქვე გვინდა მადლობა გადავუხადოთ პოლიტიკურ პარტიათა იმ ლიდერებს, რომლებიც დაგვთანხმდნენ ინტერვიუებზე და პირადად წარუდგინეს თავისი პარტიის ხედვა პროექტის ფარგლებში განხორციელებულ დისკუსიებში მონაწილე საზოგადოებას.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ კვლევა, გარკვეულ წილად, სუბიექტურია. თუმცა, კვლევის დანიშნულებას არ წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიათა პლატფორმების კრიტიკაა, არამედ გარემოს დაცვისა და მდგარდი განვითარების კუთხით ქვეყანაში არსებული გამოწვევების ასახვა, პოლიტიკურ დღის წესრიგში მათი შემდგომი ინტეგრაციის მიზნით. ანგარიში ასახავს ჩვენს ხედვას თუ რა პლატფორმაზე დგანან პოლიტიკური პარტიები და რა ღონისძიებებს გაატარებენ იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ჩვენი აზრით კრიტიკულია. ამასთან, ვინაიდან შეფასება კეთდება არჩევნების შემდგომ პერიოდში, ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, გამარჯვებული პარტიის პოზიცია, რომელმაც უნდა განახორციელოს დაპირებები, ყველაზე მეტი ყურადღებისა და კრიტიკის ქვეშ მოექცა.

პოლიტიკურ პარტიათა გარემოსდაცვითი პლატფორმის შეფასების ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ემყარება როგორც ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ გამოცდილებას გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში, აგრეთვე 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო პროგრამების მონიტორინგის შედეგად მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვან წილად დავეყრდენით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ არსებული პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებას.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები

საერთო დასკვნები და ქვეყანაში არსებული გამოწვევები გარემოს დაცვისა და მდგარდი განვითარების თვალსაზრისით

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, პოლიტიკურ პარტიათა დიდ ნაწილს ქართული საზოგადოებისთვის არ შეუთავაზებია სრულფასოვანი პოლიტიკური პროგრამა - დოკუმენტი, რომელიც საზოგადოებას შესაძლებლობას მისცემდა შეექმნა წარმოდგენა ამა თუ იმ პარტიის პრიორიტეტებზე. სამწუხაროდ, პარტიათა დიდი ნაწილის ეკონომიკური ბლოკის საკითხები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სახელმწიფოებრივი მოწყობის, ადამიანის უფლებებისა და სოციალური საკითხების ბლოკს.

პოლიტიკურ პარტიათა პროგრამების თუ ინტერვიუების ანალიზმა გვაჩვენა, რომ გარემოს დაცვასა და მდგარდ განვითარებას პოლიტიკურ პარტიათა უმეტესობა ჯერ კიდევ არ მოიაზრებს ისეთივე მნიშვნელოვან სექტორად როგორიცაა ეკონომიკა და სოციალური სფერო. ამასთან, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პარტიათა იმ ნაწილსაც კი, რომელსაც გარემოს დაცვა საერთოდ არ ჰქონდა მოხსენიებული თავის პროგრამებში, გარკვეულ წილად ფლობს ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ გარემოსდაცვით გამოწვევებზე და პრინციპში, დაგეგმილი აქვს გარკვეული ღონისძიებები ამ მიმართულებით.

საინტერესოა, რომ მაშინ, როცა თითქმის ყველა პარტია ხაზგასმით გამოკვეთდა ჯანდაცვის სექტორის რეფორმირების მნიშვნელობას და მოსახლეობისათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, პარტიათა უმრავლესობას არ დაუნახავს კავშირი გაზრდილ გარემოსდაცვით რისკებს, გარემოს დეგრადაციასა და ჯანდაცვის გამოწვევებს შორის.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორი და განვითარების პერსპექტივები ეკონომიკის სხვა მიმართულებების დარად არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ საკითხებს პარტიათა უმრავლესობისთვის. უკეთეს შემთხვევაში ისინი შემოიფარგლებოდნენ ზოგადი ფრაზებით, რომელთა საშუალებით ძნელი იყო გაგვერკვია თუ რა გარდატეხებსა და ინოვაციურ მიდგომებს გვთავაზობდნენ პარტიები მათი არჩევის შემთხვევაში.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს, მსგავსი მიდგომა მხოლოდ გაკვირვებას იწვევს. ცნობისთვის, საქართველოში მოხმარებული ენერგორესურსების 65% მოდის იმპორტირებულ გაზზე და ნავთობზე; 20% - ადგილზე გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე და 15% - შეშაზე. ამასთან, ყურადსაღებია, რომ მართალია, საქართველო ერთ სულ მოსახლეზე 6-ჯერ ნაკლებ ენერგიას მოიხმარს ვიდრე ნორვეგია ან ფინეთი და 2.5-ჯერ ნაკლებს, ვიდრე საბერძნეთი, საქართველოში ენერგოინტენსივობა მშპ-ს ერთ ერთეულზე 4-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე აღნიშნულ ქვეყნებში. ხოლო, იმპორტის დიდი წილი და მშპ-ს მაღალი ენერგოინტენსივობა თავისთავად ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამასთან, საქართველო კვლავაც მნიშვნელოვან წილადაა დამოკიდებული იმპორტირებულ ორგანულ საწვავზე, რაც ზრდის ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების რისკს.

გამომდინარე ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობიდან და მისთვის დაკისრებული სატრანზიტო ფუნქციიდან, გასაკვირია რომ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა არ განხილავს ამ საკითხებს გამოწვევად ქვეყნის ეკონომიკის, გარემოსა და სოციუმისთვის. არადა, გაძლიერებული სატრანსპორტო დატვირთვა წინა პლანზე წევს ისეთ მნიშვნელოვან საკითებს, როგორიცაა ადგილობრივი მრეწველობის განვითარება, გაზრდილი გარემოსდაცვითი სტრესი გარემოს მაჩვნებელებზე, არალეგალური ტვირთბრუნვა, ტრეფიკინგი და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიათა სრულმა უმრავლესობამ შეშფოთება გამოთქვა ტყის სექტორთან მიმართებაში, გამომდინარე ტყის რესურსების მნიშვნელობიდან სოფლის მაცხოვრებელთა ყოველდღიურობაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტყის გარემოსდაცვითი ფუნქციების წინ წამოწევა მხოლოდ რამდენიმე პარტიისთვის განიხილება პრიორიტეტულად.

სამწუხაროა ისიც, რომ პარტიათა უმეტესობას საერთოდ არ გაუცნობიერებია კლიმატის ცვლილების არსებული და მომავალი ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე, ბუნებრივი კატასტროფების შესაძლო ზრდაზე, სიღარიბეზე, სოფლის მეურნეობაზე, ეკონომიკასა და მოსახლეობაზე. არადა, მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა რეალურად დაინახონ ქვეყანაში მიმდინარე ბუნებრივი პროცესები, რომელთაც საკმაოზე დიდი გავლენა აქვს, არა მხოლოდ გარემოზე, არამედ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაზე.

პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებში თითქმის არ არის განხილული ქალთა უფლებები. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ პარტიათა პროგრამებში არაფერია ნათქვამი, როგორც გარემოსდაცვითი პრობლემების გენდერულ ასპექტებზე ასევე ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებზე.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა იმედოვნებს, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან მჭიდრო თანამშრომლობას არჩევენების შემდგომ პერიოდში კვლევაში წარმოჩენილ პრობლემებთან მიმართებაში. ამასთან, დაგეგმილი გვაქვს მსგავსი შეფასებების პერიოდულ განხორციელება, როგორც მომავალ საპრეზიდენტო, ასევე ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევენების წინ. ჩვენი აზრით საბოლოო ჯამში, მსგავსი მიდგომა და მონიტორინგი პოლიტიკური პარტიების მიერ გარემოსდაცვის სექტორში აღებული ვალდებულებებისა, ხელს შეუწყობს არსებულ გარემოს დაცვისა და მდგარდი განვითარების გამოწვევების დაძლევას.

პოლიტიკური პარტიების პროფილები

პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეები“

პოლიტიკური პლატფორმა - მემარჯვენე - ცენტრისტული პოლიტიკური გაერთიანება.
დაარსების თარიღი - 2001 წლის ივნისი.
საპარლამენტო არჩევნები: 2012 - 0.43 % პარტიული სიით
საერთაშორისო თანამშრომლობა: ასოცირებული წევრი საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის და ევროპის სახალხო პარტიის აპლიკანტი.
ვებ-გვერდი: http://www.nrp.ge/

2012 წლის საარჩევნო პლატფორმით განსაზღრული ამოცანები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში

ახალი მემარჯვენეებიის პროგრამაში „შეძლებული ოჯახი სოფლად და ქალაქად“ გარემოს დაცვა ხაზგასმულად ცალკე თავად არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა მესამე თავში საგარეო პოლიტიკა - პოლიტიკა რომელსაც ენდობიან მსოფლიოში, ჩამოყალიბებულია ენერგეტიკული და ეკო-უსაფრთხოების პრიორიეტეტები. აგრეთვე, ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების, ბუნებრივი კატასტროფებისა და მათ მიერ გამოწვეული რისკების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები, სადაც ზოგადად არის გაწერილი პრიორიეტეტული მიმართულებები გარემოს დაცვის კუთხით (იხ. ჩანართი). თუმცა, სექტორებში, სადაც ენერგეტიკული მიმართულებაც არის, ეს მიდგომები ნაკლებად არის გაშლილი და ძირითადი ყურადღება სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაზე გადადის.

პარტიის პროგრამას წითელ ხაზად გასდევს სოფლის აღორძინების განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის მომავალი განვითარების კონტექსტში, რაც მდგრადი საცხოვრისის კონცეფციიდან გამომდინარე პოზიტიურად აღიქმება. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვთარებაზე, არამედ სოფელსა და ქალაქში არსებული შესაძლებელობების გათანაბრებაზე (განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა და სხვ.)

საინტერესოა ისიც, რომ პარტია სოფლის მეურნეობას ზოგადად სოფლის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მოწყობის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად განიხილავს. ლოგიკურია სოფლის ცხოვრების მოწყობის კავშირი ეროვნული იდენტობისა და ტრადიციების შენარჩუნების აუცილებლობის საკითხთან. სავსებით სწორია პოზიცია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმთავარესი შემაფერხებელი ფაქტორი სოფლის მეურნეობის უკიდურესად დაბალი მწარმოებლურობაა.

სოფლის მეურნეობის ნაწილში, გარემოსდაცვითი კუთხით საინტერესო საკითხებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან შხამ-ქიმიკატების ხელმისაწვდომობასა და კონტროლის საკითხებს. პროგრამის თანახმად, „შხამ-ქიმიკატებსა და პესტიციდებზე ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია ხარისხის კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვადაგასული ან უხარისხო საშუალებების ქვეყანაში შემოტანა. ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ხარისხის კონტროლი და განახორციელოს შხამ-ქიმიკატების და პესტიციდების იმპორტიორი და დისტრიბუტორი კომპანიების პროდუქციის სერთიფიცირება“. ამ ღონისძიებების გატარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად უნდა გამოიყოს დაახლოებით 13.2 მილიონი ლარი. რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა ამავდროულად არაფერი არ არის ნათქვამი მაგალითად, ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რასაც რეალურად სჭირდება მხარდაჭერა.

პარტიის მიერ მესამე თავში წამოყენებული პრიორიტეტები საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა დასანანია რომ არ ჩანს ამ პრიორიეტეტების შესრულების გზები. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ დაგეგმილი არ არის გარემოს დაცვის დაფინანსების ზრდა წარმოქმნილი ამოცანების გადასაჭრელად. ასევე არ არის ნათელი თუ როგორ არის შესაძლებელი გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებით წარმოდგენილი პრიორიტეტების შესრულება.

აღსანიშნავია პარტიის პროგრამის ერთ-ერთი ქვეთავი, სადაც ხაზგასმულია, რომ მიგრაციის შეჩერებისა და ქვეყნის არაპროპორციული განვითარების შეჩერებისთვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნებისა და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, საგანგებო კანონმდებლობისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მეშვეობით უნდა მოხდეს. ჩამოთვლილ სფეროებში შედის: სამეურნეო და სოციალურ-კულტურული აქტივობის გაძლიერება; მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შეჩერება; დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების აღორძინება; ადგილობრივი რესურსების განვითარება; მრეწველობის განვითარება; მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა; ეკოსისტემების შენარჩუნება; გზების მშენებლობა და სხვ. ეს საკმაოდ პოზიტიურია, თუნდაც იმის გამო, რომ „ახალი მემარჯვენეების“ ხედვაში შერწყმულია მდგრადი განვითარების მთელი რიგი ნიშნები. თუმცა, პრობლემატურად რჩება იმის ახსნა, თუ რა გზებითა და საშუალებებით აპირებს პარტია ყოველივე ამის მიღწევას.

პროგრამაში აღნიშნულია: „ინდუსტრიული ცენტრებისკენ მიგრაციის პირობებში ასეთი ტერიტორიების დაცარიელებისგან დაცვის მიზნით ევროპული ქვეყნების მსგავსად შეიქმნას სპეციალური ფონდები, რომლებიც მოიზიდავენ სახსრებს, გასცემენ შეღავათიან კრედიტებს, ხელს შეუწყობენ სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, ფერმერული მეურნეობების განვითარებას“. უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც შეღავათიანი კრედიტების გაცემით, ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

მართალია სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება წითელ ზოლად გასდევს „ახალი მემარჯვენეების“ საარჩევნო პროგრამას, ძირითადი ყურადღება მაინც გადატანილია უკვე არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე და პარტიისთვის არ არის ცნობილი ის გამოწვევები რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს შეექმნა ან შესაძლებელია

შეექმნას კლიმატის ცვლილების კუთხით. შედეგად, პრობლემათა საკმაოდ დიდ ჩამონათვალზე პასუხები გაცემული არ არის.

სასურველი იქნება პლატფორმის ეკონომიკურ და სოციალურ შემადგენელთან ერთად პარტიამ უფრო მეტი დრო და ყურადღება დაუთმოს გარემოს დაცვას და კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩინოს თუ როგორ და რა გზებით აპირებს დაგეგმილი მიზნის მიღწევას.

ასევე, კარგი იქნებოდა თუ სოფლის განვითარების პროგრამიდან გამომდინარე, ყურადღება მიექცეოდა ენერგეტიკის განვითარებას, განსაკუთრებით სოფლად არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გათავლისწინებით.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

პოლიტიკური პლატფორმა - მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების პარტიაა.
დაარსების თარიღი 2001 წელი, პერე-რეგისტრაცია 2004 წელი
მმართველი პარტიის 2004-2012 წლებში
2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ხმათა 40% (33 ხმა) და მოიგო არჩევნები 32 ოლქში.
საერთაშორისო თანამშრომლობა: ევროპის სახალხო პარტიის წევრი
ვებ-გვერდი: http://www.unm.ge/

2012 წლის საარჩევნო პლატფორმით განსაზღრული ამოცანები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში

2012 წელს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარმოადგინა საარჩევნო პროგრამა „მეტი სარგებელი ხალხს“, რომელშიც სიტყვა გარემოს დაცვა, ისევე როგორც სიტყვები, ენერგეტიკა და ტრანსპორტი საერთოდ არ მოიძებნა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ჩვენ ვერ შევძელით ჩაგვეწერა ინტერევიუ გარემოს დაცვის საკითხებზე „ნაციონალური მოძრაობის“ ვერცერთ წარმომადგენელთან.

თუმცა, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ მართულ ინტერნეტ პორტალზე www.partiebi.ge, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კითხვაზე - გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ, შემდგენაირად გასცა პასუხი - უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჩვენთვის. საქართველოს ბუნებრივ გარემოს, ბიომრავალფეროვნებისა და ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადგება დავუთმოთ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

უფრო ჯანმრთელი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისათვის მიზნად ვისახავთ: დავნერგოთ ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემები; ვუზრუნველვყოთ საქართველოს უნიკალური ეკოსისტემების, სახეობათა მრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების დაცვა და რეაბილიტაცია; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა; ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე შესაძლო ზიანის და ეკონომიკური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა; საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებების გატარების გზით და სათბურის გაზების ემისიების შემცირება; ტყის რესურსების დაცვა; ქვეყნის ტერიტორიის რადიოაქტიური და სხვა მავნე ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოების ჩატარება; შავი ზღვის დაბინძურების პრევენცია და სხვა.

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აქტიურად მიმდინარეობს ინერტული მასალის გატანა, რაც გარემოს დიდ ზიანს აყენებს. ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით გამოვიყენებთ ყველა საშუალებას იმისათვის, რომ, შევაჩეროთ საოკუპაციო რეჟიმი და არ დავუშვათ შავი ზღვის სანაპიროს ეკოლოგიური კატასტროფა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენი მხრიდან ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი, მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების პრევენციას რომელიც გარემოს უქმნის საფრთხეს.

შემუშავებული იქნება ისეთი პრევენციული ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფენ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებას.“

გაზეთი ბათუმელებისთვის მიცემულ ინტერვიუში კი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატმა, ყოფილი გარემოს დაცვის მინისტრმა, ბატონმა გოგა ხაჩიძემ განაცხადა შემდეგი: „2012 წელს მთავრობამ დაამტკიცა გარემოს განვითარების დაცვის სტრატეგიული გეგმა, 4 წლიანი პროგრამა - „ნეაპი“, რომელიც არის მაღალი ლეგიტიმაციის დოკუმენტი. მასში არის დეტალურად გაწერილი, თუ რა პრობლემებია გარემოსდაცვის კუთხით ჩვენს ქვეყანაში, რა პრიორიტეტებებია, ოთხწლიანი - 2012-16 წლების კონკრეტული სტრატეგიაა, ბიუჯეტით. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განიხილა ეს დოკუმენტი და აღიარებს, როგორც ჩვენი ქვეყნის გარემოს დაცვის სფეროში მთავარ დოკუმენტს[1]“.

2012-2016 წლების გარემოს დაცვის სამოქმედო გეგმა შემუშავდა საქართველოს მთავრობის მიერ. გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის მიღება მხოლოდ 2012 წლის ინავარში გახდა შესაძლებელი. ამ პროგრამის

[1] http://netgazeti.ge/GE/105/News/12890/ 2012.09.18, რას სთავაზობენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს გარემოს დაცვის კუთხით

მომზადება მიმდინარეობდა 2009-2010 წ.წ.-ში ნიდერლანდების მთავრობის ხელშეწყობით. 2010 წლის ნოემბერში მომზადდა საპროგრამო

დოკუმენტის პროექტი, რომელიც 2011 წლის განმავლობაში განიხილებოდა საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში. გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის დოკუმენტი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #127 განკარგულებით. ეს პროგრამა ითვალისწინებს ღონისძიებების განხორციელებას 2012-2016 წლებში.

დოკუმენტი მოიცავს 11 პრიორიტეტულ სფეროს: წყლის რესურსები, ატმოსფერული ჰაერი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, შავი ზღვა, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, სატყეო მეურნეობა, მიწის რესურსები, მინერალური რესურსები, კატასტროფები, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება. ყველა მათგანისთვის განსაზღვრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. თითოეული თემისათვის წარმოჩენილია ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები, დაინტერესებული მხარეები, დღემდე გატარებული ღონისძიებები, ეროვნული და საერთაშორისო პროცესები და საკანონმდებლო ბაზის შეფასებები. ასევე მითითებულია დაფინანსების პოტენციური წყაროები და შესრულების ინდიკატორები.

თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის განცხადებისა[2], სხვა არანაირი ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ 2012-2016 წლების ეროვნულ მოქმედებათა გეგმა მართლა წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობის პარტიული პროგრამის განუყოფელ ნაწილს, არ მოიძებნა. ამასთან, პროგრამით გაწერილი ღონისძიებების დიდი ნაწილი განხორციელდება დახმარებების საფუძველზე. აღსანიშნავია, ისიც, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ გაკეთებულ საბიუჯეტო გადანაწილებაში საერთოდ არ არის არის ასახული გარემოს დაცვა.

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - კოალიცია ქართული ოცნება“

პარტიის ისტორია: გაერთიანება დაარსდა 2011 წლის მიწურულს. მას ხელმძღვანელობს ბიძინა ივანიშვილი და შედგება ექვსი პოლიტიკური პარტიისგან: ქართული ოცნება -- დემოკრატიული საქართველო, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, კონსერვატიული პარტია და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს.“

პოლიტიკური პლატფორმა - მემარცხენე ცენტრისტული პარტია.
2012 წლის არჩევნებში მიიღო 44 % პარტიული სიით (44 ადგილი) და მოიგო მაჟორიტარული არჩევნები 41 საარჩევნო ოლქში.
ვებ-გვერდი: www.georgiandream.ge

2012 წლის საარჩევნო პლატფორმით განსაზღრული ამოცანები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი - კოალიცია ქართული ოცნება“ ყველაზე ფართოდ ჰქონდა გაშლილი გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების გეგმა.

პროგრამის მეორე თავში „საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები“, ბლოკი აცხადებს, რომ ის უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფს „ყველა იმ პირობის შესრულება, რომლებიც საქართველოს საშუალებას მისცემს წარმატებით დაასრულოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირებასთან დაკავშირებით. აგრეთვე, განავითაროს თანამშრომლობა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ოთხი ძირითადი მიმართულებით, კერძოდ: დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, გარემოს დაცვა და ენერგოუსაფრთხოება, ადამიანთა შორის ურთიერთობები“.

მეოთხე თავში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, განსაზღვრულია ბლოკის პრიორიტეტები ამ მიმართულებით. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის ნაწილში მკაფიოდ იგრძნობა ავტორთა შეშფოთება იმის გამო, რომ გარემოს დაცვა არ წარმოადგენს პრიორიტეტულ სფეროს და რომ დღეს ეკონომიკის განვითარება ცალსახად მძიმე ტვირთად აწვება საარსებო გარემოს. ავტორები კარგად იცნობენ სექტორში არსებულ გამოწვევებს. ისინი სავსებით ადექვატურ გადაწყვეტილებებს გვთავაზობენ და კორექტული კატეგორიებით ოპერირებენ.

აღსანიშნავია, რომ ამ თავში სწორადაა შეფასებული სექტორში არსებული პრობლემები და გამოწვევები - ეკონომიკური მოგების პრეფერირება გარემოს დაცვაზე. აღწერილია ის პრობლემები, რაც არაეფექტურმა და ხშირად, გაუაზრებელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა წარმოქმნა, რითაც კიდევ უფრო შესუსტდა გარემოზე მონიტორინგის სისტემა და ამავდროულად კიდევ უფრო არაეფექტური გახდა გადაწყვეტილების მიღება. პარტიის შეფასებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა არაფექტიანი და უსუსურია, ხოლო ენერგეტიკის სამინისტროსთვის ბუნებრივი რესურსების მართვის გადაცემამ საფრთხე შეუქმნა ბიომრავალფეროვნებას და უპირველეს ყოვლისა, წითელ წიგნში შეტანილ სახეობებს. კოალიცია ხაზს უსვამს რომ „ქვეყანაში მკვეთრად გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები, რომლის მიზეზი არა მხოლოდ გლობალური ცვლილებები, არამედ ადამიანების მიერ ბუნებაში უხეში ჩარევა და ინფრასტრუქტურის დაუგეგმავი განვითარებაა.“

კოალიცია აღიარებს, რომ ქვეყნის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპს, ხოლო გარემოს

[2] http://netgazeti.ge/GE/105/News/12890/ 2012.09.18, რას სთავაზობენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს გარემოს დაცვის კუთხით

დაცვის სფეროს „პრიორიტეტულ მიმართულებად აცხადებს და მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ ამ დარგისათვის გაღებული ფინანსური რესურსები არის არა დანახარჯი, არამედ ინვესტიცია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას“. აგრეთვე, კოალიცია პირველი რიგის ამოცანად ისახავს ქართული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავებას, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებსა და სამართლებრივ ნორმატიულ ბაზას, უზრუნველყოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივ შესრულება.

საარჩევნო პროგრამაში წარმოდგენილი პრიორიტეტების შესრულების ერთ-ერთ გზად მოიაზრება გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციური და ადამინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება, პირველ რიგში ე.წ. ჰორიზონტალური კანონმდებლობის შემუშავებით. მათ შორის მოიაზრება გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე სისტემის შემუშავება (სივრცითი დაგეგმვა, სტრტეგიული შეფასება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება) და ამავდროულად, გარემოს მდგომარეობის მონოტორინგის თანამედროვე სისტემის შექმნა. პროგრამა ითვალისწინებს საკმაოდ შრომატევადი სამოქმედო გეგმის განხორციელებას, როგორც საკანონმდებლო ასევე პრაქტიკულ, იმპლემენტაციის დონეზე.

ქართული ოცნების პროგრამაში ხაზგასმულია აგრეთვე მთელი რიგი პრიორიტეტული სფეროები, მათ შორის დაბინიძურების შემცირება (ჰაერის, წყლის, ნიადაგის), ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და პრევენციული ღონისძიებები, ნარჩენების, მათ შორის, საშიში ნარჩენების მართვა. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის საკანონმდებლო ინიციატივებთან ერთად, პარტია მნიშვნელოვნად კვლევებისა და კომპლექსური ღონისძიებების გატარებას, მათ შორის დაცული ტერიტორიების გაფართოებას და გაზრდას მოიაზრებს. აღსანიშნავია, ისიც, რომ პარტია პრიროტეტად აღიარებს ტყეების გარემოსდაცვითი და რეკრეაციული ფუნქციის შენარჩუნებას. შესაბამისად ის დებს პირობას, რომ შეზღუდავს მერქნული რესურსების მოპოვებას და ტყით სარგებლობის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს.

გარემოს დაცვის ღონისძიებების გასატარებლად კოალიცია გეგმავს გარემოს დაცვას ბიუჯეტის 4% დაუთმოს, რაც საკმაოდ პოზიტიური სიგნალია. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი 2008 წლიდან სულ უფრო და უფრო იკლებდა და 1% არ აღემატებოდა. (მაგ, 2012 წლის ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარემოს დაცვაზე ამ წელს 11,4% ნაკლები დაიხარჯა ვიდრე წინა წელს[3]).

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ენერგეტიკასთან დაკავშირებული საკითხები (მათ შორის ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიების ტექნოლოგიების დანერგვა, დიდი ჰესებისა და საქართველოს ტერიტორიაზე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე მორატორიუმი) შესულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ნაწილში. ეს ერთის მხრივ, მისასალმებელია. თუმცა, ჩვენი აზრით, პროგრამის მნიშვნელოვანი ნაკლი ისაა, რომ მას არ გააჩნია ენერგეტიკისა და ტრანსპორტის თავები. ამასთან, აღსანიშნავია, ისიც, რომ კოალიციის სამთავრობო პროგრამაში ენერგეტიკა მოხსენიებული საერთოდ არ არის.

საინტერესოა, რომ პროგრამაში ასევე არ არის ჯეროვნად შეფასებული კლიმატის ცვლილების ზეგავლენა როგორც გარემოზე, ასევე ეკონომიკაზე და სოფლის მეურნეობაზე. ეს, გარკვეულ წილად, პროგრამის ნაკლს წარმოადგენს, ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება მომავალში ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

პარტიის ისტორია: დაარსდა 1917 წელს. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ პარტიამ პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოში შეწყვიტა. პარტია აღდგა 1981 წელს გიორგი ჭანტურიას მიერ. 2008 წლის ნოემბერში პარტიამ მოიგო შუალედური არჩევნები დიდუბის საარჩევნო ოლქში.
პოლიტიკური პლატფორმა: ზომიერად სოციალისტური.
2012 წლის არჩევნებში მიღებული ხმები: 0,14%
საერთაშორისო თანამშრომლობა არა

2012 წლის საარჩევნო პლატფორმით განსაზღრული ამოცანები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში

ედპ-ს ოფიციალურ წინაასარჩევნო პროგრამაში გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა, ენერგეტიკა და ტრანსპორტი საერთოდ არ არის განხილული. პარტიის მიერ ძირითადი აქცენტი გადატანილია მცირე და საშუალო ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და სოციალური პრობლემების (ჯანდაცვა, უმუშევრობა, პენსიები) გადაჭრაზე.

ინტერვიუს დროს, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან, გამოიკვეთა მთელი რიგი გარემოსდაცვითი საკითხები, რომელიც პარტიის გამოწვევად აღიქმება.[4] მათ შორის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარების ანალიზის და მონიტორინგის თანამედროვე სისტემის შექმნა და მისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. პარტია პრიორიტეტულ საკითხებს შორის გამოყოფს წყლის და საკანალიზაციო სისტემების, საწარმოო ნარჩენების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვის და განახლებადი ენერგიების განვითარების პრობლემას.

[3] http://csrdg.ge/upload/editor/file/saxelmtsifo%20biujetis%20analizi%202012/2012%20wlis%20biujetis%20analizi%20-%20damtkicebuli.pdf

[4] ინტერვიუ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გელა კვაჭანტირაძესთან, http://greeningfuture.net/?filename=ge_14_09_2012_07_55_42.new&pathm=webmill/data/news/ints/&lng=ge_&more=1&c=ints&page=home

თუმცა, მიუხედავად ზემოთქმულისა, რთულია დაინახო თუ როგორ წარმოუდგენია პარტიას ზემოთაღნიშნული სექტორების რეფორმირება და ინტეგრირება მთლიან ეკონომიკურ პროგრამაში. სასურველია, რომ პარტიული დოკუმენტები უფრო მეტად ინტეგრირებული იყოს იმ დაპირებებთან მიმართებაში, რომელსაც პარტიის კანდიდატები იძლევიან.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა

პარტიის ისტორია: დაარსდა 2008 წელს. 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში პარტია მეორე ადგილზე გავიდა.
პლატფორმა: სოციალისტურ-დემოკრატიული
2012 წლის არჩევნებში მიღებული ხმები: 2.05%
საერთაშორისო თანამშრომლობა; საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის სრული წევრი
ვებ-გვერდი:http://cdm.ge/ge/

2012 წლის საარჩევნო პლატფორმით განსაზღრული ამოცანები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში

„ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ წარმოდგენილი „ათპუნქტიანი სახელმწიფო ბიუჯეტის“ დოკუმენტი არ წარმოადგენს პროგრამულ დოკუმენტს. ამ დოკუმენტის, აგრეთვე „ქრისტიან- დემოკრატიული პარტიის“ სხვადასხვა ინტერვიუებიდან ნათელი გახდა, რომ გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება არ წარმოადგენს პარტიისთვის ინტერესს.

ქვეპუნქტი #6 - ის მიხედვით - სამართლიანი ტარიფები ხალხს, „დავიბრუნოთ ქართული ენერგეტიკა“- ქდმ გეგმავს 1 მლრდ ლარის ჩადებას ბიუჯეტში ყოველწიურად. საინტერესოა, თვითონ ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის გზა პროგრამის მიხედვით: „ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - გაგრძელდება ჰესების მშენებლობა, თუმცა გამომუშავებული იაფი ჰიდრო-ელექტროენერგია მოხმარდება ტარიფის დაწევას, ეკონომიკის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; სახელმწიფო უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტების გაზიფიცირებას.“

ბიუჯეტის გადანაწილებისას, ქდმ 10 პროცენტს ენერგეტიკისთვის გამოყოფს. ამასთან, ქდმ-ს განცხადებით, ტარიფის შესამცირებლად დაგეგმილი აქვს თელასის აქციების 75% ისა და ენერგოპროჯორჯიას წილის 100 -ის გამოსყიდვა, რათა გამოკლებულ იქნას ტარიფიდან ინვესტიციის კომპონენტი.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა, არანაირად არ ეთანაწონადება ენერგეტიკის სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტას, როგორც სისტემურ პრობლემებს ენერგოსექტორის განვითარების, ასევე ძნელია წარმოვიდგინოთ რომ ეს მიდგომა ხელს შეუწყობს სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების ინტეგრირებას.

ეკონომისტების შეფასებით[5], „დაბალი ტარიფები გაზსა და ელექტროენერგიაზე შესაძლოა მართლაც იწვევდეს დასაქმებას, მაგრამ არა ყოველთვის. თუ გაზსა და ელექტროენერგიაზე ტარიფი შემცირდება, შესაძლოა გაიზარდოს მისი მოხმარება ბიზნესის მიერ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არა დასაქმების ზრდა, არამედ ახალი კაპიტალური აღჭურვილობის შეძენა, რომელიც მეტ გაზს ან დენს მოიხმარს.“

„მწვანე ალტერნატივასთან“ ინტერვიუში, ქდმ-ს გენერალურმა მდივანმა დაადასტურა, რომ მათ ენერგეტიკასთან დაკავშირებით „შედარებით მარტივი ხედვა“ აქვთ და მათი მიზანია იაფი ენერგორესურსების შემქნა ქართული ბიზნესის განვითარებისთვის. მისი თქმით, „ნებისმიერი ჰესი გარემოზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს, რაც არ უნდა პატარა იყოს ის. მაგრამ ქვეყნისთვის უნდა გვიღირდეს თუ რამეს ვაკეთებთ და ახლა რაც კეთდება, ეს არ გვიღირს. ის ნამახვან ჰესი რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მდინარე რიონის ხეობას, ან დაგვეკარგოს ტვიში[6].“

ზოგადად, ინტერვიუებიდან გამომდინარე, ქრისტიან-დემოკრატების მიდგომა გარემოს დაცვისადმი, გამოიხატება ბუნებრივი რესურსების ათვისებაში სოციალური სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. თუმცა, ამავ-დროულად გასაკვირია, რომ ქდმ-სთვის სოციალური სამართლიანობა არ მოიცავს სუფთა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას და აგრეთვე მომავალი თაობების ინტერესებს.

[5] http://www.econpolicyfact.ge/ka/category/makroekonomikuri-sakitkhebi/policy_brief/kristian-demokratiuli-modzraoba

[6] http://greeningfuture.net/?filename=ge_07_09_2012_07_15_20.new&pathm=webmill/data/news/ints/&lng=ge_&more=1&c=ints&page=home

საქართველოს ლეიბორისტული პარტია

პარტის ისტორია: დაარსდა 1995 წელს.
2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 1.2 %
პოლიტიკური პლატფორმა: მემარცხენე-ცენტრისტული პარტია საქართველოში.
საერთაშორისო თანამშრომლობა: არა

2012 წლის საარჩევნო პლატფორმით განსაზღრული ამოცანები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში

„ლეიბორისტულ პარტიას“ 2012 წლის საპარლანტო არჩევნებისთვის საარჩევნო პროგრამა საერთოდ არ მოუმზადებია. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების „მეტეხის ვალდებულება - შალვა ნათელაშვილის საპრეზიდენტო პროგრამა“, პარტიისთვის 2012 წლისთვისაც სრულიად რელევანტური აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ პროგრამა და გაანალიზებული ინტერვიუები ვერ გვიქმნის სრულყოფილ სურათს იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოუდგენია პარტიას ეკონომიკური ბლოკის საკითხების გადაწყვეტა. თავისთავად იდეა - „მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ“ და ყველა ტიპის გადასახადის გაუქმება შესაძლოა სოციალური სამართლიანობის პრინციპად ისახებოდეს, მაგრამ სწორედ ამ დაპირებების ფონზეა საინტერესო, როგორ წარმოუდგენია პარტიას არსებული ეკონომიკური, მათ შორის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხების თუ გამოწვევების გადაწყვეტა.

„ლეიბორისტული პარტიის“ იდეოლოგიურ ლიდერთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა, ენერგეტიკა და ა.შ. პარტიის თვალსაზრისით, სრულად სახელმწიფოს პრეროგატივაა.

თუმცა, ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები ბოლომდე არ არიან ჩამოყალიბებულნი თუ როგორ და/ან რანაირად უნდა განხორციელდეს ამ სფეროს მართვა და კონტროლი. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ყველაფერი სახელმწიფოს ხელში გადავა, პრობლემა მოიხსენება: “ჩვენ უკვე დიდი ხანია პარლამენტში შევიტანეთ კანონპროექტი იმის თაობაზე, რომ აიკრძალოს ტყის მასივების გაყიდვა-გასხვისება. ასევე შევიტანეთ კანონპროექტი, რომ უცხოელებზე მიწის ნაკვეთების გასხვისება აიკრძალოს, რათა ეს მიწის ნაკვეთი საქართველოს მოქალაქემ მოიხმაროს. ეს ორი ინიციატივა ხელახლა უნდა იქნეს შეტანილი. ასევე, კანონპროექტით უნდა გამოვრიცხოთ ოქროს, ქვანახშირის, მარგანეცის და მსგავსი ბუნებრივი წიაღისეულის კერძო საკუთრებაში გადაცემა. კანონით უნდა აიკრძალოს ბუნებრივი სიმდიდრის კერძო საკუთრებაში გადაცემა. გაზისა და ნავთობის ის მწირი საბადოები, რაც გვაქვს, უნდა იყოს ექსკლუზიურად სახელმწიფო მართვის ხელში. ეს კანონპროექტები შეტანილია და რა თქმა უნდა, ჩვენს პროგრამაშიც აისახება. რაც შეეხება ხარჯებს, საკანონმდებლო ცვლილებებს არავითარი თანხები არ დასჭირდება[7]“.

მართალია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების სექტორში პარტიას მკვეთრად ჩამოყალიბებული პროგრამა არ გააჩნია, მაგრამ თავისი პლატფორმიდან გამომდინარე, საკმაოდ საინტერესო პოზიციებსაც გვთავაზობს. მაგ. „ლეიბორისტული პარტიის“ მიერ შემოთავაზებული პრინციპი: „უნდა მოვაწესრიგოთ საკანონმდებლო ბაზა ისე, რომ ისეთი ბუნებრივი წიაღისეული, როგორიცაა ოქრო, მარგანეცი, ქვანახშირი, იყოს ხალხისა და სახელმწიფოს ექსკლუზიური განკარგვის უფლების სფერო, რათა თითოეულ ჩვენ თანამოქალაქეს, ბუნებრივი წიაღისეულისაგან მიღებული სიკეთე თანაბრად გადაუნაწილდეს“. შესაძლებელია, არ დავეთანხმოთ „ლეიბორისტულ პარტიას“, რომ რესურსების მოხმარება სახელმწიფოს ექსკლუზიური განკარგვის სფერო უნდა იყოს, თუმცა ის, რომ „ბუნებრივი წიაღისეულისაგან მიღებული სიკეთე თანაბრად“ უნდა გადანაწილდეს, საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალში უკანასკენლ წლებში ინტენსიურად განიხილება.

სამწუხაროა, რომ პარტიას არ გააჩნია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების იმგვარი მართვის მკაფიო და ნათელი ხედვა, რაც სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებთანაც მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული და უზრუნველყოფდა სოციალური სამართლიანობის მიღწევის რეალური მექანიზმების შემუშავებას.

[7] ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურ მდივანთან კახა ძაგანიასთან. http://greeningfuture.net/?filename=ge_22_08_2012_07_22_45.new&pathm=webmill/data/news/ints/&lng=ge_&more=1&c=ints&page=home

2012 წლის საპარალმენტო არჩევნების წინ პოლიტიკური პარტიების მიერ აღებული ვალდებულებები:

პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეები“-ს მიერ აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები 2012 წლის საპარალმენტო არჩევნების წინ	პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა -ს მიერ აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები 2012 წლის საპარალმენტო არჩევნების წინ	საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - კოალიცია ქართული ოცნება“-ს მიერ აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები 2012 წლის საპარალმენტო არჩევნების წინ	პარტია ქრისტიან-დემოკრატილი მოძრაობ-ის მიერ აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები 2012 წლის საპარალმენტო არჩევნების წინ	საქართველოს ლეიბორისტული პარტიას მიერ აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები 2012 წლის საპარალმენტო არჩევნების წინ	საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია -ს მიერ აღებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები 2012 წლის საპარალმენტო არჩევნების წინ
მომავალი თაობების უსაფრთხოებისა და ქვეყნის ჰარმონიული, მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია, დღესვე დავიწყოთ გარემოზე ზრუნვა. ამისათვის: ➢ უნდა შეიქმნას და განმტკიცდეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების არაეფექტური გამოყენების ეკონომიკური და საკანონმდებლო ბარიერები; ➢ მოძიებული და განვითარებული უნდა იყოს ენერგიის ალტერნატიული წყაროები; ➢ ყველა ზომა უნდა იყოს მიღებული	უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჩვენთვის. საქართველოს ბუნებრივ გარემოს, ბიომრავალფეროვნების და მისი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ეკოლოგიურ უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადგება დაუთმოთ. უფრო ჯანმრთელი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისათვის მიზნად ვისახავთ: დავნერგოთ ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემები; ვუზრუნველყოთ საქართველოს უნიკალური ეკოსისტემების, სახეობათა მრავალფეროვნების და	ჩვენი პრიორიტეტული მიმართულებებია: ➢ მოქმედი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესაბამისობა ევროგაერთიანების მოთხოვნებთან სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად; ➢ გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასებისა და გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის თანამედროვე პრინციპებზე დამყარებული სისტემის შექმნა; ➢ მოქალაქეთა სრულად ინფორმირება გარემოსთან დაკავშირებული ვითარების თაობაზე, ასევე, გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩაბმულობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა; ➢ გარემოს დაცვის მნიშვნელობის გააზრება და გაცნობიერება საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სათანადო ეროვნული პროგრამების მომზადებისა და მათი დანერგვის გზით; ➢ კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების	პარტიის პროგრამაში გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილი წარმოდგენილი არ არის. ქრისტიან-დემოკრატილი მოძრაობის 2009-2013 წლების მისია (წყარო: http://cdm.ge/ge/mission.html) ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა აუცილებლად მიიჩნევს: ➢ ჩვენი ეროვნული სიმდიდრის – ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, გარემოს დაცვის, როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის წარმოჩენას და ამ მიმართულებით აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ფორმირებას;	პარტიის პროგრამაში გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილი წარმოდგენილი არ არის. ინტერვიუ მწვანე ალტერნატივასთან ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურ მდივანთან კახა ძაგანიასთან ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: http://www.greeningfuture.net/?filename=ge_22_08_2012_07_22_45.new&pathm=webmill/data/news/ints/&lng=ge_&more=1&c=ints&page=home	პარტიის პროგრამაში გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილი წარმოდგენილი არ არის. ინტერვიუ მწვანე ალტერნატივასთან „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გელა კვაჭანტირაძესთან ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: http://www.greeningfuture.net/?filename=ge_14_09_2012_07_55_42.new&pathm=webmill/data/news/ints/&lng=ge_&more=1&c=ints&page=home

გამონაბოლქვებით, ქიმიური ნივთიერებებით და სხვა სახის ნაგვით გარემოს დაბინძურების მინიმუმამდე დასაყვანად; ➢ **უნდა ჩამოყალიბდეს ეკოლოგიური კულტურა და მოსახლეობაში პოპულარიზაცია გაეწიოს გარემოს დაცვას.** წყარო: www.partiebi.ge **ინტერვიუ მწვანე ალტერნატივასთან „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერთა საბჭოს წევრთან და ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ მანანა ნაჭყებიასთან ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ:** http://www.greeningfuture.net/?filename=ge_03_09_2012_08_35_12.new&pathm=webmill/data/news/ints/&lng=ge_&more=1&c=ints&page=home	**გენეტიკური რესურსების დაცვა და რეაბილიტაცია; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა; ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე შესაძლო ზიანის და ეკონომიკური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა; საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებების გატარების გზით და სათბურის გაზების ემისიების შემცირება; ტყის რესურსების დაცვა, ქვეყნის ტერიტორიის რადიოაქტიური და სხვა მავნე ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოების ჩატარება, შავი ზღვის დაბინძურების პრევენცია და სხვა.** **სამწუხაროდ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აქტიურად მიმდინარეობს ინერტული მასალის გატანა, რაც, გარემოს დიიდ ზიანს აყენებს. ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით გამოვიყენებთ ყველა საშუალებას იმისათვის, რომ,**	**შესაძლებლობების გაზრდა გარემოს დაცვის და საბუნებისმეტყველო დარგებში;** ➢ **ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დანერგვა მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად;** ➢ **გარემოს დაცვისთვის საჭირო და ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვა;** ➢ **სხვადასხვა სახეობისა და პოპულაციის მდგომარეობის კვლევა ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა და რაციონალური ექსპულატაციისთვის;** ➢ **დაცულ ტერიტორიებზე არსებული ობიექტების დაცვის გაუმჯობესება, აგრეთვე, მათი ფართობის გაზრდა; ბუნების ძეგლებისა და დაცული ლანდშაფტების ინვენტარიზაცია; დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;** ➢ **ტყეების გარემოსდაცვითი და რეკრეაციული ფუნქციების შენარჩუნების პრიორიტეტად აღიარება, მერქნული რესურსების მოპოვების შეზღუდვა და რეგულირება;** ➢ **ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის აკრძალვა; ენერგიის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების ხელშეწყობა. პროგრამების განხორციელება ენერგოეფექტიანობის გაზრდისთვის, თანამედროვე ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისი მიკრო- და მცირე ჰესების მშენებლობის მხარდაჭერა, არსებული**	**ინტერვიუ მწვანე ალტერნატივასთან ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის გენერალური მდივანთან ლევან ვეფხვაძესთან ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ:** http://www.greeningfuture.net/?filename=ge_07_09_2012_07_15_20.new&pathm=webmill/data/news/ints/&lng=ge_&more=1&c=ints&page=home		

	შევაჩეროთ საოკუპაციო რეჟიმი და არ დაუშვათ შავი ზღვის სანაპიროს ეკოლოგიური კატასტროფა. **განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენი მხრიდან ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი, მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების პრევენციას რომელიც გარემოს უქმნის საფრთხეს.** **შემუშავებული იქნება ისეთი პრევენციული ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებას.** წყარო: www.partiebi.ge	**ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია;** ➢ **გენეტიკურად მოდიფიცირებული თესლეულისა და სანერგე მასალის იმპორტის აკრძალვა. ამ ტიპის პროდუქციის მარკირება და ადგილობრივი კულტურული ჯიშების შენარჩუნება-გამოყენების ხელშეწყობა;** ➢ **ქვეყნის ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნარჩენების, ასევე, სხვა მაიონიზებელი გამოსხივების მქონე ნივთიერებების ტრანსპორტირების აკრძალვა, არსებული წყაროების გამოვლენა და უსაფრთხო განთავსება, თანამედროვე სტანდარტების სათანადო საცავის მოწყობა;** ➢ **სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და სწრაფი შეტყობინების სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მიზანი იქნება მსხვერპლისა და ზიანის მაქსიმალურად შემცირება;** ➢ **სანაპირო ზოლისა და მდინარეების ნაპირების დაცვა-აღდგენითი ღონისძიებები;** ➢ **გამწვანებული ტერიტორიების დაცვა და გაფართოება.** წყარო: www.partiebi.ge **ინტერვიუ მწვანე ალტერნატივასთან „მწვანეთა პარტიის“თავმჯდომარესა და კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის წევრ გია გაჩეჩილაძესთა ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ:** http://www.greeningfuture.net/?filename=ge_05_09_2012_05_43_57.new&pathm=webmill/data/news/ints/&lng=ge_&more=1&c=ints&page=home			

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

მისამართი: ფალიაშვილის 27/29 II სართული, თბილისი
ტელ: 229 2773
ფაქსი: 222 3874
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org